საქართველოს მთავრობის

დადგენილება №541

2025 წლის 16 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებაში (სსმ III, 2004 წელი, მუხლი 1160) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) **საქართველოს ფინანსთა მინისტრი** – კომისიის თავმჯდომარე;

ბ) **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი** – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) **საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრი** – კომისიის წევრი;

დ) **საქართველოს იუსტიციის მინისტრი** – კომისიის წევრი;

ე) **საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე** – კომისიის წევრი;

ვ) **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი** – კომისიის წევრი;

ზ) **საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი** – კომისიის წევრი.“.

2. მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 2027 წლის პირველ იანვრამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**